

572

1976

საბავშვო  
გაზეთი



1976 წლის N2

საბავშვო



# ველეუერი ჩვენია

ქართული  
ენების ცენტრი

13035

ლილი ნუსუზიძე

ეს სატულა მინდორი  
მზე რომ გადაზოქვინა,  
ჩანსქერი და მდინარე—  
ველეუერი ჩვენია.

მესევია ჩიტები  
ტყვს, მუსხარს და ლელიანს,  
ეს ხვრები და ვანები—  
ველეუერი ჩვენია.

სმაწკრილა ბუღბუღებს  
ველი მოუღერათ,  
ეს მთები და ქედები—  
ველეუერი ჩვენია.


შარიბურაბს ჯვჯელი,  
ცა ფირუსის ფერა,  
რუსთაველის სამშობლო—  
საქართველო—ჩვენია.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობა

ბავშვებო!

წელს, თებერვალში, ჩვენი საშობლოს დელაქალაქ მოსკოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობა.

კომუნისტები—ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სახელგანთი შვილები, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა—შეაფასებენ და აწონ-დაწონაან ჩვენს შრომით და სწავლით მიღწევებს; იმსჯელებენ იმაზე, რათა კიდევ უფრო ღამაზი და შინაარსიანი იყოს ჩვენი ცხოვრება, თქვენი ბავშვებო...



გურამ ბახტაძე

### «კომუნისტებისათვის ვიღავთ მებრძოლს!»

პიონერთა ოთახში, იქ, სადაც ოქტომბრელების კუთხეა, ვაკრულია პლაკატი: «პიონერთა მარშიში ოქტომბრელებიც ვმონაწილეობთ!»

ყველა ოქტომბრელმა კარგად იცის, რომ პიონერთა მარში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას ეძღვნება. მარშის დევიზია: «კომუნისტებისათვის ვიღავთ მებრძოლს!» პიონერების მსგავსად ოქტომბრელებიც ეცნობიან სახელოვანი ადამიანების—კომუნისტების საბრძოლო გზას, ვინც დიდ სამამულო ომში თავი ისახელა.

სკოლის წინ არის დიდი და ღამაზი შენობა—სანატორიუმი «საქართველო». ოქტომბრელები იქ მივიდნენ და მთავარ ექიმს—ვიტალი გვანცელაძეს სთხოვენ ვამბნა პოლონელი ბავშვების შესახებ.

ძია ვიტალი ყოფილი სამხედრო ექიმი. მის მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებს;

პოლონეთის განთავისუფლებაში მონაწილეობდა კომუნისტი ექიმი და მებრძოლი. მუდამ ფრონტის წინა ხაზზე იყო. ახლაც ახსოვს, თუ რა დიდი სიხარულით ეგებებოდნენ საბჭოთა მეომრებს პოლონეთში. გაიხსენა პატარა ბავშვები; ხელში ყვავილები ეჭირათ და სიხარულით უძღვებოდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს.

ძია ვიტალის ნაამბობი ოქტომბრელებმა თავიანთ ალბომში ჩაწერეს. აქვეა სოციალისტური შრომის გმირის, კომუნისტი ნათელა ჩელეგაძის ფოტოსურათი და წერილი. ნათელა დეიდამ ხომ გმირის წოდება მაშინ მოიპოვა, როცა ჯერ კიდევ პიონერი იყო და დიდძალ ჩაის ფოთოლს კრეფდა.

ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის ოქტომბრელები შემდეგ ქობულეთიდან ბათუმში გაემგზავრნენ. იქ, ნავსადგურში—მოწინავე მებრძოლებს შეხვდნენ.

## კატაკი ეპოპლიურ პარტიას

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

შეგი ზღვის პირას დაბა ჩაქეში დიდი პიონერული კოცონი გიზგიზებდა. იგი ერთად დაანთეს ქართველმა, რუსმა, სომეხმა პიონერებმა და ოქტომბრელებმა.

პიონერებისა და ოქტომბრელების საპატიო სტუმრები იყვნენ კომუნისტები—მოწინავე ადამიანები. ერთი მათგანია აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე. პიონერები და ოქტომბრელები კარგად იცნობენ სახელოვან მეცნიერს; იციან, რომ მან უცნავამძლე ჩაის ბუჩქი გამოიყვანა.

ზეიმზე სოფელ ბობოყვათიდან თვრამეტი სოციალისტური შრომის გმირი ჩამოვიდა. აი, რამდენი გმირია ამ სოფელში!

ჩაქეველმა პიონერებმა გამოაცხადეს შეჯიბ-

რება—ვინ მოიპოვებს უფლებას ხელი მოაწეროს პიონერული ორგანიზაციის პატაკს პარტიის XXV ყრილობისადმი.

ამიტომაა, რომ პიონერები კარგად სწავლობენ, უფროსებს შრომაში ეხმარებიან. ოცი ტონა ლითონის ნამსხვრევი შევაროვის ბაიკალ-ამურის მაგისტრალისათვის.

ამ კარგ საქმეში ოქტომბრელებიც მონაწილეობენ. სკოლის ნაკვეთზე რომ ციტრუსები ხარობს, რამდენიმე კვალი ოქტომბრელების მოვლილია. საკლასო ოთახები კი ქოთნის ყვავილებით დაამშვენეს. რაც მთავარია, ბავშვები კარგად სწავლობენ.

პარტიის XXV ყრილობას ჩაქეველმა ოქტომბრელებმაც მოუშხადეს თავიანთი პატაკი.



# სანატრელი გაზაფხული

მისა შიღველი

დაუფარავს თოვლის საბანს  
ენძელა და გულისაბა.  
ბუჩქის ძირას სძინავს იას,  
მობუზულა ჩიტუნიაც.  
მაგრამ ცოტაც, კიდევ ცოტაც—  
ამწვანდება შავი ხნული,  
მთაბარს ისევ მოგვიხატავს  
სანატრელი გაზაფხული.

ნაბატები ზაურ ღვისაძისა



## იის გაღვიძება

ოთარ ზალამზარიძე

ისე ჩუმად,  
ისე უხმოდ  
გაიღვიძა ლურჯმა იამ,  
არც არავის დაუნახავს,  
არც არავის გაუგია.

მოიხვდა,  
მოიხვდა,  
თავისავე ჩრდილს აკოცა!  
მერე გამრჯე ჭიანჭველას  
გაზაფხული მიულოცა.

# ლვებელი

## მზია ხმთავარი

ერთ საღამოს ქუჩაში ბებია და შვიდიშვიდი მიაბიჯებდნენ. იმისთანა ქარი ქროდა, ფოთლებს სულ მაღლა-მაღლა მიაფრიალებდა. შვიდიშვიდი ტირილით სთხოვდა ბებიას, ღვებელი მიეციეო. ბებიას ფული არ ჰქონდა, მაგრამ ბიჭს ვერაფერი გააგებინა. შვიდიშვიდი უფრო და უფრო უმატებდა ტირილს, თან—მიყიდე და მიყიდეო, გაიძახოდა. ბიჭმა გამეფელთა ყურადღება მიიქცია. ერთი ქალი გაუწყრა კიდევც:—შენ რა მტინადა ბიჭი ყოფილხარო,—მერე ბებიას უჩჩია:

— ბოლოს და ბოლოს დასაჯეთ და კუთხეში დააყენეთ.

— კუთხეში აქ ვერ დამაყენებს!—შეუბღვირა ბიჭმა.

— რატომ?—გაუკვირდა ქალს.

— იმიტომ, რომ სახლში არა ვართ, დედამიწა კი მრგვალია და კუთხე როგორ ექნება?

— ყოჩაღ!—შეაქა ქალმა,—შენ უკვე დიდი და ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ, ყველაფერი გცოდნია, აბა, რა გატირებს?

— ღვებელი მინდა!

— ფული დამეხარჯა, რითი გიყიდა, თანაც საღვებედ ქუჩის ბოლოშია,—წუხდა ბებია.

— მინდა!—არ თმობდა შვიდიშვიდი.

— უცნაური ბიჭი ყოფილხარ.—გაუწყრა ქალი,—მეც კი მინდა ახლა, რომ სახლში თბილად ვიყო, ძალიან შემციოვდა.

— სახლი ხომ ღვებელი არ არის?—გაუკვირდა ბიჭს.

— ღვებელი კი არა, მე გათბობა მინდა, მცივა, მაგრამ უნდა მოვითმინო... იცი, გამირები რატომ არიან გამირები?—განაგრძო ქალმა,— იმიტომ, რომ ყველაფრის მოთმენა შესძლეს: შიმშილისაც, სიცივისაც, წყურვილისაც, ყველანაირი გაჭირვებისა, თანაც მტერს ებრძოდნენ! კინოში, ტელევიზორში ხომ გინახავს ბრძოლა?

— მინახავს.

— ძალიან კარგი, აი, ამას ვამბობ სწორედ! ყველაფერს ითმენდნენ, თავს სწირავდნენ. შენ კი...

— მე ხომ გმირი არა ვარ?

— შენ გგონია, თუკი შეგნებუდი, კეთილი





ბიჭი იქნები, გმირობად არ ჩაგვთვლებათ?

— მე კეთილი ვარ!—ამაყად თქვა ბიჭმა.

— მერე, ბებიას რომ აწუხებ, ეს სიკეთეა? თანაც ასე ცივა, ქარი ქრის.

— აღარ შევაწუხებ,—მოტყდა ბიჭი და თავი ჩალუნა.

— ყოჩაღ! ეს მართლა ბეკიანი ბიჭი ყოფილა!—შეაქო ქალმა.

— კარგი ბიჭია, კარგი,—ბუბიამ თავზე ხელი გადაუსვა შვილიშვილს.

ამასობაში სახლამდეც მიალწიეს. ბუბიამ ბიჭს უთხრა:

— დეიდას მადლობა გადავუხადოთ ასეთი კარგი საუბრისათვის და დაგვმშვიდობოთ.

— ნახვამდის, გმადლობთ,—სერიოზულად თქვა ბიჭმა და დეიდას თავი ღიმილით დაუქრა.

ქარი კი ისევ მაღლა-მაღლა მიაფრიალებდა ყვითელ-ფოთლებს.

იმ ღამეს ბიჭმა სიზმარი ნახა: ვითომ ომში იყო, ჯარისკაცებს ბუბიას გამომცხვარ ცხელ-ცხელ ლეგზებს ურიგებდა, თვითონ კი ხელსაც არ აკარებდა, რადგან მებრძოლებს ისედაც აკლდათ სასმელ-საჭმელი... მერე აქეთ-იქით ზატყით სკვებოდნენ ყუმბარები, თვითონ, როგორც გმირს შეეფერება, არაფრის არ ეშინოდა და იერიშზე გადასულ მეომრებს ვაშას ძახილით მხარდამხარ მისდევდა... გუგუნებდნენ თვითმფრინავები და ტანკები, ქუხდნენ ქვეყნები...

ბიჭი სწორედ ამ ზმაურმა გამოაღვიძა.

ოთახი სარკმლიდან შემოსულ მზის ნათელს აეგსო. შუა ქუჩაში ჯარისკაცთა რაზმი მხედრული სიმღერით მიდიოდა.



# სპილო

## ზაქარია შარაზადიშვილი

ამ სამხედვს ჩვენსას,  
ნიორფერად მორთულს,  
მარტლაც  
არცხვენს სპილო,—  
გეჯაში ჰყოფს ხორთუმს!

ირა ჯობდა, ჩანგლად  
რომ ხმამობდეს ფიწალს,  
ან ბალივით,  
თავზე  
ჩისთვის იყრის მიწას?

რომ გაძღება,  
კტუხს  
ხულაც აღარ ატანს,  
მოდგება და თივას  
აქეთ-იქით ფანტავს!

ანდა, რას ჰგავს,  
როცა  
მზე დიდ ფერდებს უწევს,  
ჩაიგუბებს წყალს და  
სუყველაფერს წუწავს!

მიაწვება შუბლით,  
აზანზარებს ზღუდეს,  
რომ მოვიქცე  
ეგრე,  
ხომ მეტყუადით უზრდელს?!

ნახატი გუსო ხიდაშვილისა





# სიყვები

ენინო ბეზარაშვილი

ერთი ბებერი მურყანის ფულუროში ბინადრობდნენ ციყვები: პაპა და ორი შვილი-შვილი. პაპა ვაჟს ცქეიტოს ეძახდა, ქალი-შვილს—ციკურას.

ცქეიტოს და ციკურას მშობლები დიდი ხანია მონადირის თოვს ემსხვერპლა და პატარა ციყვუნებს პაპა ზრდიდა. სანამ ჯანი მოსდევდა, მოხუცი ციყვი შვილიშვილებს არაფერს აკლებდა, ნემსის უწნწში გაძვრებოდა და ობოლ ციყვუნებს კი არაფერზე თვალს არ დაუნარჩუნებდა. ზამთარ-ზაფხულ საკუპნაო გამოტენილი ჰქონდა ტყის ხილით.

გავიდა ხანი და ციყვუნები გაიზარდნენ. ერთხელ, შემოდგომაზე, პაპამ შვილიშვილებს უთხრა:

— რაღას უყურებთ, მიდექ-მოდექით, ზამთრისათვის მოიტანეთ რამე, თორემ სადაც

ნახათ მანანა მორჩილადისა

არის, თოვლს ჩამოყრის და ჩვენ კი კბილქვეშ შესავლები არაფერი გავგაჩნაო. თან დაარიგა; ფრთხილად ყოფილიყენენ, რომ მონადირეს არ შეხეჩებოდნენ.

— პაპა, ტყუილად რისთვის მოვიწყვიტო წელი მაქალოსა და თხილის ზიდვით,—თქვა ცქეიტომ,—მე მალე ავიკრავ გულა-ნაბადს და სხვაგან გადავალ საცხოვრებლად, ცოლის შერთვას ვაპირებ, აბა, ამ პატარა ფულუროში ხომ ვერ მოვიყვან. აი, ჩემმა დამ მოზიდლოსო.

— მე რალად უნდა მოვზიდო,—იუკადრისა ციკურამ,—თუ კარგია, შენ მოიტანე, პაპა, არც ისეთი მოხუცი ხარ. მე თათები გამიქუპუკიანდება, ბეწვიც ამებურძენება. ორ-სამ დღეში ჩემი საქმრო ჩამოვიღოს და წამიყვანს.

პაპას ძალიან ეწყინა შვილიშვილების პასუხი.

— კეთილი და პატიოსანი... მე კიდევ ბებერი ვარ, დღეს თუ ხვალ გადავებურუნდები და მოვკვდები, თქვენთვის ვამბობ, თორემ



რა შავ ქვედ ვაქნევ საკმელ-სასმელსა, ხის ქერქს ავლოკავ და ისიც მყყოფაო.

შემოდგომა იწურებოდა, ლამაზობით უკვე ციოდა. ტყეში ერთი შარიშური და ქოთქოთი იღვა. ყველა რაღაცას მიაარბენინებდა სახლისაკენ. ზღარბებს ეკლებზე პანტები და მაქალოები წამოეცვათ. თავეებს თხილი ჩაებლუჯათ, ჩვენი ციყვები კი ბეჩოში დაძვრებოდნენ და ხეებზე დადიოდნენ. სადაც რას მოახელებდნენ, იქვე შესანსლავდნენ და ერთმანეთის ჯიბრით ხელს არაფერს გამოაყოლებდნენ. არა იმან მოიტანოს, არა—ამანო.

გავიდა რამდენიმე ხანი. ვერც ცქვიტო გადავიდა სხვაგან და არც ციკურას საქმრომ ჩამოიარა. ჰოდა, ერთ დილას, როცა ფულუროს კარი გამოაღეს, ფეხი ვერაჟინ ვეღარ გადადგა გარეთ. ღამე ისეთი დიდი თოვლი მოსულიყო, ფულუროს გასასვლელი მთლად ამოქალა. მეორე ღამესაც ბარდნიდა, მესამე ღამესაც... და მთელი ტყე თოვლში გაფხვიდა.

სულიერის ხმა აღარ ისმოდა. ყველა თა-

ვის ბუნაგში ჩათბუნებულოყო. ხან ფინათ, ხან ილვიძებდნენ და თავიანთ მონაგრებულს შეექცეოდნენ.

ვაზაფხულზე კი ისევ გამოიშალნენ დათვები, ზღარბები, კურდღლები; მოედნენ ახლად გამოლენიებულ ტყესა და მიწდორს. მხოლოდ ჩვენი ციყვები აღარ ჩანდნენ. არც დაბლა, ახლად ამოქუჩქუჩებულ ბალახებში დაძვრებოდნენ და აღარც ხის ტოტებზე დახტოდნენ სკუპსკუპით.

ნეტავი რა მოუვიდათ? ეგებ გაკვალეს თოვლი, შორეულ ნათესავს მიაღწენ კარზე დახმარებისათვის და ჯერაც არ დაბრუნებულან. ან იქნებ ისევ ფულუროში სხედან გულხელდაკრეფილები და შიმშილისაგან დასუსტებულებს გარეთ გამოსვლის თავიც აღარა აქვთ?..

ყველაფერი კი იმ თოვლის ბრალი იყო, რა მოხდებოდა, ცოტა გვიან მოსულიყო, მანამდე იქნებ ჭკუაზე მოვიდოდნენ ციყვები, ფაფქორდებოდნენ თავიანთ საქციელს და ჩვენც ასეთ საგონებელში აღარ ჩავვარდებოდით...

# ჩემი დაღვრული

პატრიკ ზინაუა



მომიტანეს დედოფალი,  
 თვალში მზე უცინოდა;  
 ვაძინებდი—იძინებდა,  
 ვტუქსავდი და—ტიროდა.  
 გულით მსურდა—ჰქონებოდა  
 მუღამ საქმის ხალისი,  
 მაგრამ ფეხზეც ვერ დგებოდა,  
 ვერც ჯდებოდა თავისით.  
 დამჯდარს—ბალიშს მივუდებდი  
 მარჯვნიდან თუ მარცხნიდან,  
 პირის ბანას ვინა ჩვივის,  
 თმასაც ვერ ივარცხნიდა.  
 სულ ვნატრობდი—მოერბინა  
 ეზო—სიცილ-ხმაურით,

ენავარდა და აეკლო  
 სახლი აურზაურით.  
 წაეკითხა, დაეხატა,  
 ეცეკვა და ემღერა,  
 ჩემთან ერთად ეთამაშა,  
 უოფილიყო ჩემხელა.  
 გულით მსურდა დედოფალი  
 აი, სწორედ ასეთი,  
 ის კი იწვა გაუნძრევლად  
 და რძეს ძალით ვასმევდი.  
 თუ ეძინა, არც კრთებოდა  
 ირგვლივ უაყან-ხმაურზე,  
 საქმეს მარტო ვაკეთებდი,—  
 სადილსა თუ საუზმეს.

თარგმანი ანდრე ასულაშვილისა

# ღამე და ნითაღლა

3. ამბარშან

ზმორებით და კვენსით  
 ძლივს წამოდგა დღით:  
 — რატომ კვენისი, ბიჭო?  
 — კბილი მტკიავს, კბილი!—  
 წითელგულა ჩიტუნა  
 ჩამოსძახის: ჰიკ-ჰიკ-ჰიკ!  
 სკოლის ზარი არ გესმის?  
 ჩქარა წადი—იქ, იქ, იქ!  
 კაკანათს რომ ამზადებ,  
 არც მშობი, არც მწყურია;  
 ვინც ჩიტებზე ნადირობს,  
 ყველა უსაქმურია!..  
 გამობრუნდა ბიჭი,  
 არ ისვენებს ჩიტი:  
 — სად მირბიხარ?  
 — სკოლაში...  
 — მართალს ამბობ?  
 — კი, კი, კი!  
 მხიარული ჩიტუნა  
 მიაცილებს—ჰიკ-ჰიკ-ჰიკ!

თარგმანი კ. გოგიანისა

ჩემი სტუმარი აფხაზური საბავშვო ჟურნალი  
„ამცაზნი“ („ალი“).



ნახატები სოფიო კინფურაშვილისა

# აპლაკი და ძილი



ქართული ენის  
საქართველოს  
ხალხური მემკვიდრეობის  
სამეცნიერო ცენტრი

## კლათონ გეგინა

თარგმნა გიორგი ხაჩიძის მიერ

ავედარი და ძილი თურმე თავიდანვე მეგობრები ყოფილან. ავედარს ტრაბახი ჰყვარებია: სულ ტრაბახობდა და ტრაბახობდა. ძილი რისი ძილი იყო, მისი ტრაბახისთვის ყური უგდო. ერთხელაც, ველარ მოითმინა და უთხრა:

- გეყოფა, ყურები ნუ წამკვამე ტრაბახით!
- მე გიჩვენებ, რა ტრაბახაცა ვარ!— გაწყურა ავედარი.
- მოდი, მიჩვენე!— არ გატყდა ძილიც.
- იმ ბავშვს ხომ ხედავ?
- კი, ვხედავ!
- ბავშვი ეზოში იგდა და ხელში წითელი ვაშლი ეჭირა.
- აბა, უყურე, როგორ გაფაგდებინო ხელი-

დან ვაშლი!

— მიდი!

უცბად ცა ღრუბლებით გაივსო, ჩამომხნედა, ატყდა ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ბიჭს კი ეჭირა წითელი ვაშლი და იგდა წვიმაში. რაც უფრო მატულობდა ჭექა-ქუხილი, მით უფრო მაგარად უჭერდა შეშინებული ბიჭი ვაშლს ხელს...

— ახლა მე მიყურე!— სთქვა ძილმა. წყნარად მივიდა ბავშვთან, ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა და მიუაღერსა. ბიჭმა თვალები მიიღუდა, მაღე ძილის ტკბილ ბურანში გაეხვია; ჩაეძინა და ხელიდან წითელი ვაშლიც დაუვარდა...

ამბობენ, მას აქეთაა, რომ აღარ ტრაბახობსო დარცხვენილი ავედარი.

ნახატი მანანა ჯავახიშვილისა



# გაქილი

იზარღე, მწვანე ჯეჯილო.  
ღაპურდი, გახდი ყანაო!  
ბაგშეაო!

ამიერიდან ჩვენი ჟურნალის ამ განყოფილებაში, ყოველი წლის მეორე ნომერში დაი-  
ბეჭდება თითო-თითო მოთხრობა და ნახატი.

მოთხრობა დასურათეთ, ნახატის მიხედვით კი შეადგინეთ მოთხრობა.  
საუკეთესო ნამუშევარი დაიბეჭდება ჟურნალ „დილის“ მეექვსე ნომერში—ბავშვთა  
დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.  
მოთხრობა ან ნახატი გამოგზავნეთ 2 აპრილამდე; აღნიშნეთ თქვენი გვარი, სახელი,  
წლოვანება და მისამართი. კონვერტზე კი დაწერეთ—„თბილისი“, ლენინის ქ. № 14; ჟურნალ  
„დილის“ რედაქცია, „კონკურსისათვის“.

კონკურსის ფურია „დილის“ სარედაქციო კოლეჯში.



## კრუნი და კაჭკაჭი

ნახატი ელსარდ აგზოკაძისა

კრუსს წიწილები კალთზე გამოყვსნა. კაჭკაჭი დაჯდა შორიანდოს და ბოლოს ქნე-  
ვით დაუძახა:

— ნათლიაჲ, მადიან შებრალები, რომ მაგდენი შვილების გაზრდაში დიდი ჯა-  
ფა მოგდის; მე მომბარე რამდენიმე შეილი, ჰაერში ფრენას ვასწავლი, ჩემს შვილებს  
გავაცნობ და მალე ბუდეში დაგსრდიო.

კრუსსა უთხრა:  
— შელისათვის ბატკანი რომელ ცხვარს მიუბარებია, რომ მე შენ შვილები მო-  
გაბარო.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“.

# აღმა მითხა

## ვლადიმერ ასლამაზიშვილი

თემოს მამა ამწეს შემანქანავა. თურმე ის მრავალსართულიანი სახლი, სადაც თემო ცხოვრობს, მისი მამის ამწეთა ამწენებული.

— ახლა სად ამწენებ დიდ სახლს?—ჰკითხა ერთხელ თემომ მამას.

მამამ ბიჭი ფანჯარასთან მიიყვანა, შორს, მაღალ შენობათა მიღმა ჟირაფებივით კისერ-აწვედილი ამწეები დაანახვა.

ერთ ამწეზე წითელი ალაში ფრიალებდა.

— იმ წითელაღმიან ამწეს ხედავ?—ჰკითხა მამამ.

— ვხედავ!

— მაგის მარცხნივ ყვითელი ამწე რომ დგას, ის ჩემი ამწეა.

— რატომ აქვს იმ ამწეს წითელი ალაში?

— შეჯიბრებაში გაიმარჯვა, მაგის შემანქანემ იყოჩაღა და ყველას გვაჯობა.

თემოს ძალიან უნდოდა მამამისის ამწეზეც ეფრიალა ალაშს.

— ეჰ, როგორ მინდა!—ამოიოხრა თემომ და მამისკენ თვალი ჩუმად გააპარა, ენახოთ, რას იტყვისო. მამას არაფერი უთქვამს.

იმის მერე თემომ მოსვენება დაკარგა; ბალიდან მოვიდოდა თუ არა, მაშინვე ფანჯარასთან მიიბრუნდა, აბა, ენახო, იქნებ მამამ ყველას აჯობაო, მაგრამ წითელი ალაში ძველებურად ისევ იმ ამწეზე ფრიალებდა.

და აი, ერთ დღეს, როცა თემომ ფანჯარაში უიმედოდ გაიხედა, სიხარულით ტაში შემოჰკურა: ალაში ახლა ყვითელ ამწეზე ფრიალებდა, ფრიალებდა კი არა, სულ ცეცხლივით გაუდიოდა ბრაილი.

სალამოთი შინ მოსულ მამას თვალგებარე წყინებული შეეგება თემო.


— მამა, შენ ახლა ყველაზე ყოჩაღი ხარ!

— საიდან იცი?—გაიღიმა მამამ.

თემომ მამას ხელზე ხელი მოჰკიდა და ფანჯარასთან მიიყვანა:

— ალაშმა მითხრა, მამა, წითელმა ალაშმა.

ნახატი სოფიო კინწურაშვილისა



# ქართველს აგზავნებს

ნოდარ შამანაძე

ღელის პირს ყანა ამშვენებს,  
ყანა ბიბინა, შრიალა;  
ყანას—აქა-იქ ყაყაჩო,  
ყაყაჩო ბრიალ-ბრიალა.  
ყაყაჩოს—ხალი ფურცლებზე,  
ხალს—შევად შეფერილობა;  
ქართველს—მამულის ტრფიალი,  
მისთვის ბრძოლა და გმირობა.



# ხელს ალერ ვახტანგ იასა

ავთანდილ მებრელები

ასე სუსტა და პატარას—  
ხელს როგორ ვახტანგ იასა,  
ნაზს, ლამაზსა და მშვენიერს,  
კამკამა თვალებიანსა.  
შორიდან ვეალერსები,  
არ მივჯარებ ნიავსა.

# სანაძლო

შოთა ქავთარაძე

ერთი,  
ორი,  
სამი,  
მე ავწიე სკამი,  
ვერ ასწია ვაჟამ,  
გავიმარჯვე—ვაშა!

# გამცვიანი

გამარჯობა, მაცვიანო,  
შენ უნდა თქვა—კაცი ვარო!  
როგორ უცებ გავცივივე  
ლიმონათი მე და დათოს,  
გელა, ნუნუ—ყველა გითვლის:  
დიდი მადლობელი ვართო.



# თაფლისმარვენებელი

არჩილ ჰანაშვილი

აფრიკისა და აზიის ტყიან ადგილებში ცხოვრობს პატარა ფრინველი, რომელსაც თაფლისმარვენებელი ეწოდება. გარეგნულად იგი ჩვენებურ კოდალას მგავს.

თაფლისმარვენებელი, ისე, როგორც გუგული ბუდეს არ იკეთებს, კვერცხებს სხვა ფრინველებს უწყობს ბუდეში. სხვებს აჩეიენებს და აზრდევინებს თავის ბარტყებს.

რატომ ჰქვია ამ ფრინველს თაფლისმარვენებელი? თაფლისმარვენებელი აღამიანს რომ დაინახავს, მანამ იბტუნებს ხიდან ხეზე, ვიდრე მას გარეული ფუტკრის სკასთან არ მიიყვანს. ამიტომაცაა, რომ იკაურები თაფლისმარვენებლის დანახვისთანავე თაფლის ჩასახმელ კურკელს შიშიანჯგვებენ და ჩიტუნას ფებღაუბ მისდევენ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ თაფლისმარვენებელს აღამიანი შინაური ფუტკრების ფერმამდე ან იმ ეზომდე მიჰყავს, სადაც შინაური ფუტკარი ჰყავთ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში თაფლისმარვენებელი უკან ხელდაიგრეილი ბრუნდება.

თაფლისმარვენებელი ასეთსავე სამსახურს უწევს იკაურ ბინალარ ნადირს თაფლისჭამიას, რომელიც გარეგნულად და ზომით ძალიან მგავს ჩვენებურ მარვს. თაფლისჭამია თათებთა და ბრკუალებით ანგრევს ფუტკრის სკას, ხანსდახან თაფლს და მასთან ერთად ფუტკრებსაც.

როგორ ფიქრობთ? თაფლისმარვენებელი მხოლოდ სხვაზე ზრუნავს? არა! — ფიჭო და ცვილი მისი ხანუკიარი საკმელია.


დანგრულ საფუტკრეში იგი თავისთვის საჭირო საკვებს შოულობს.





# ქ ს ზ უ ჯ ც ე რ

## თავსაუჯახი



## ცხრაფეხა და ნალბანდი

გიორგი ჯარათელი

ცხრაფეხამ უთხრა ნალბანდას:  
— მოდი, მომარტე ნალია...  
— ნეტავი ნალი რად უნდა, რომელი მორბენალია, რომელი ხარი ევა მუავს, გამივოსო ხოლმე ნალია, რომელი ვირი ევა მუავს, იჯახის მარჩენალია, მაგათ რომ ჰედვა დავუწყოთ, ცხენს არ დარჩება ნალია.

ცარიელი უჯრედები შევსეთ საქართველოს კურორტების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოს საქართველოს მეტალურგიული ქალაქის სახელწოდება. შეადგინა გეგმპეკორის რაიონის სოფ. ნახუნაოს საშ. სკოლის მოსწავლემ ლალი ილიშარიამ.

## ჩიოკა და ბიჭი

თამარ ჩხაიძე

ტოტზე იჯდა ჩიოკა, სციოდა და შიოდა. ბიჭმა უთხრა:

— წამომყევი ჩიოკა შინ, კერძს მოგარმევე ტკბილს, ბინას მიგიჩნევ თბილს!

— მირჩევნია ტყვეობაში განცხრომას, დე, მციოდეს, დე, მშიოდეს, ვიფარებდე ფაფუკ საბანს ნათხოვარს, ვჭამდე სარჩოს ლალი ფრენით ნაშოვარს!





## გამოსანა

ეს რამხელა მანქანაა,  
 გაუკვირდა კახას, —  
 ჟირაფივით კისერი აქვს,  
 დაუღია ხახა;  
 თითო ლუკმად არა ჰყოფნის  
 თითო ტონა მიწა!  
 მე არ გეტყვი იმის სახელს,  
 თვითონ გამოიცანს!  
**შოთა ამირანაშვილი**

## ქნაქა

ღუზა სანიკიძე

თოვლიშ ვინდები, თოვლის ფერი,  
 მუშინია სამთრის განა?  
 მე ბუნებაშ გასაფხულის  
 მასარობლად გამომე საგნა.

## ნიწო

წუნუ ლაღიძე

მანღარინი, ფორთოხალი,  
 ვაშლი, მსხალი, კომში. თხილი,  
 ნინოსათვის შენახული  
 უღევაღ იქვს ბებოს ხილი,  
 — წამიყვანე ბებოისთან —  
 ეუბნება მამას ნინო, —  
 თხილსა და წაბლს,  
 ჩირს და კაკალს  
 ერთი კარგად მოვუღბინო!

## ჩუჭუსი



თ „



ქ



„



“



ჩ




“



ქი



“



ჩად

„



“



„

6/133/23

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

### ვიზი შიშინაძე

ღათუნამ გზიდგობა,  
როგორ ეწვივს გუჭი!  
აქეთ-იქით დაბნაცვლებს,  
ფესხე დგომა უჭირს.  
მთელი წამთრის უჭმელია,  
ბარ გემთნათ მთურადი,  
წინ ჰირველად ჯინც შეხვდება,  
ვაი, მისი ბანალი!



ნახატი მანანა შორჩილაძისა

#### მოგარი ჩედაქტორი შუბრან მახარაძისად

საჩედაქტოო კოდეცია: ანზორ აბაღაშვილი, ვილარ რე პავროპაძე, აქაური გოგიაშვილი, ლეილა მირაძე, ბაჰაღა მრავალშვილი, ჯიშორ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. ჩედაქტორი), იმრან მახარაძე (პ/შ. მდიანი) რედაქტორ ლარიაშვილი, ვიზი ანაღაძე

საქ. ადვ. ცუ-ისა და გ. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ტერმინალ. უღაზუ ნახატი თამაზ საშიშვილისა გ. ა. მ. ცუ-ის 40-ე წე ლ. ი.

ტექნოლოგიური მუშაო მუშაობილი

მისამართი: ჩედაქტორი, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. ჩედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/შ მდიანის—93-10-32, 93-98-17; სამხ. ჩედაქტორის—93-98-18; ვახუშტი—93-98-19; სამდიონისა—93-98-18

გაღვეცე ასაწეობად 17/XI-75 წ. ხელმოწერილია უსახეუღად 9/II-76 წ. კაღაღის ზომა 60X90, ფის. ნახ. ფურც. 2,5, ტიპოფი 159.700. შეღ. № 4166. „დიან“ № 2. ა გუარინსკო მუშა. ფახი 20 კაბ.

საქ. კვ ცუ-ის

გამომცემლობა

Издательство

ЦК КП Грузии